სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება
N1-74

ქ. თბილისი **16 ივლისი 2018 წ.**

ერთის მხრივ **სსიპ „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო“** (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი უფროსის **ვასილ გედევანიშვილის** სახით და მეორეს მხრივ **შპს „ფოტო სამყარო“** (შემდგომში „მიმწოდებელი”) წარმოდგენილი მისი აღმასრულებელი დირექტორის **მიხეილ ჭოხონელიძე** სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომ - „ხელშეკრულება“) - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი ორგანიზაცია“ (შემდგომ „შემსყიდველი“) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი“ ნიშნავს პირს, რომელიც მიაწოდებს საქონელს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე“, „კვირა“, „თვე“ ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 წინამდებარე ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს: **14 ერთეული A4 ფორმატის ფოტოს ბეჭდვა (CPV79811000).**

2.2ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი უნდა შეესაბამებოდეს წინამდებარე ხელშეკრულების 2 მუხლის 2,1 პუნქტში მითითებულ რაოდენობას.

3 ხელშეკრულების ღირებულება

1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **42,00 (ორმოცდაორი)** ლარს დღგ-ს ჩათვლით.

2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4 ანგარიშსწორების წესი

4.1 ანგარიშსწორება მოხდება ლარებში.

4.2 გადახდის ფორმა – უნაღდო.

4.3 დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი

4.4 ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად გაწეული მომსახურების მიღება–ჩაბარების აქტის საფუძველზე ან/და სხვა საბუღალტრო დოკუმენტაციის წარდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

5 ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1 შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს მიწოდებული საქონლის კონტროლი, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით.

5.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია დაესწროს ინსპექტირების პროცესს.

5.3 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი ტექნიკური საშუალებით.

5.4 შესყიდვის ობიექტის (მოსსახურების) კონტროლს „შემსყიდველის" მხრიდან განახორციელებს სსიპ „ბირთვული და რადიაციული უსაფრთოების სააგენტოს" შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი **ზურაბ ფიფაიშვილი პ/ნ 01023008309**

6 საქონლის მიწოდების პირობები

6.1 შესყიდვის ობიექტი უნდა აკმაყოფილებდეს წინამდებარე ხელშეკრულების 2 მუხლის 2,1 პუნქტში მითითებულ რაოდენობას.

6.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

7.1 შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით (შემსყიდველის მხრიდან მიღება ჩაბარების აქტებზე ხელმოწერას და საქონლის მიღების დადასტურებას განახორციელებს სსიპ „ბირთვული და რადიაციული უსაფრთოების სააგენტოს" შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი **ზურაბ ფიფაიშვილი.**

8. პასუხისმგებლობა

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან შესრულების ვადის გადაცილებისათვის მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა - ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით.

8.2 იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

8.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 წინამდებარე ხელშეკრულება ძალაშია ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2018 წლის 20 აგვისტოს** ჩათვლით.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11. ხელშეკრულების შეწყვეტა

შემსყიდველს შეუძლია შეწყვიტოს ხელშეკრულება:

ა) თუ მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში არ შეუძლია მიაწოდოს საქონელი ან მისი ნაწილი;

ბ) თუ მიმწოდებელს არ შეუძლია შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა რომელიმე ვალდებულება დაკავშირებული მისაწოდებელი საქონლის ხარისხთან და ა.შ.

გ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

დ) მიმწოდებლის გაკოტრების შემთხვევაში;

ე) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

...ორს-მაჟორი

... ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ მოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.

12.2 ამ მუხლის მიზნებისათვის `ფორს-მაჟორი~ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

12.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, 3 დღის განმავლობაში უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

13. სადაო საკითხების გადაწყვეტა

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14. უფლებების გადაცემა

მიმწოდებელმა შემსყიდველის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, არც მთლიანად და არც ნაწილობრივ არ უნდა გადასცეს მოცემული ხელშეკრულებით არსებული თავისი ვალდებულებები მესამე პირს.

15. ხელშეკრულების ენა

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების მეორე მხარე არის უცხო ქვეყნის წარმომადგენელი, მაშინ მეორე ეგზემპლიარი ითარგმნება მიმწოდებლისათვის მისაღებ ენაზე. ინტერპრეტაციისას ქართულ ენაზე დაწერილი ხელშეკრულება წარმოადგენს გადამწყვეტს. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული მთელი წერილობითი მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომელიც გაიცვლება მხარეთა შორის, უნდა შეესაბამებოდეს აღნიშნულ პირობებს.

16. შეტყობინების განხორციელება

ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

17. გადასახადები და დაბეგვრა

მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახდელების გადახდაზე, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

18. დამატებითი პირობები

18.1 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

18.2 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების და/ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელსაც ექნება იგივე იურიდიული ძალა რაც წინამდებარე ხელშეკრულებას.

19. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
სსიპ ,,ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო“	შპს ,,ფოტო სამყარო“
მის: ქ. თბილისი, გ. გულუას ქ.N6	ს/კ2044355114
საიდენტიფიკაციო კოდი: 204585564	მის: ქ.თბილისი. წერეთლის გამზ.N116
მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა	ბანკი: სს „ჰალიკ ბანკი“
მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში	კოდი:HABGGE22
ბანკის კოდი: TRESGE22	ა/ა GE48HB00000000009736025
ტელ: 591 40 40 12	ტელ: 293 21 98. 299 74 04
ვასილ გედევანიშვილი სააგენტოს უფროსი	მიხეილ ჭოხონელიძე დირექტორი

ხელწერილი

ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

ქ. თბილისი

16 ივლისი 2018 წ

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი ვადასტურებთ, რომ **სსიპ „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო“** და **შპს „ფოტო სამყარო“** შორის 2018 წლის 16 ივლისს N1-74 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ჩვენი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე–8 მუხლის მოთხოვნებს.

ვასილ გედევანიშვილი

ზურაბ ფიფაიშვილი

თამარ გულიაშვილი

ინსპექტირების დასკვნა

ქ. თბილისი

,,17" ივლისი 2018წ

სსიპ ,,ბირთული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო"-სა და **შპს ,,ფოტო სამყარო"**-ს შორის 2018 წლის 16 ივლისს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება N1-74 ის მე5 მუხლის 5,4 პუნქტის საფუძველზე განვახორციელე ინსპექტირება.

აღნიშნული ხელშეკრულების თანახმად შესყიდული იქნა შემდეგი სახის მომსახურება: 14 ერთეული ფოტო სურათის ციფრული ბეჭდვა.

შრომითი ხელშკრულებით დასაქმებულმა პირმა ზურაბი ფიფაიშვილმა 2018 წლის 17 ივლისს განხორციელებული ინსპექტირების შედეგად.

დ ა ვ ა ს კ ვ ე ნ ი:

შესყიდული მომსახურება აკმაყოფილებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს. (2018 წლის 16 ივლისს გაფორმებული ხელშკრულების №1-74/1 მიღება-ჩაბარების აქტი) ინსპექტირებაზე პასუხისმგებელი პირი.

შრომითი ხელშეკრულებით
დასაქმებული პირი
ზურაბი ფიფაიშვილი

მიღება-ჩაბარების აქტი
N1-74/1

ქ. თბილისი

16 ,,ივლისი" 2018წ

წინამდებარე აქტი შედგენილია მასზედ, რომ სსიპ ,,ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო"-სა (შემდგომში მიმწოდებელი) და **შპს ,,ფოტო სამყარო"** (შემდგომში მიმწოდებელი) შორის 2018 წლის 16 ივლისი გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება N1-73-ის შესაბამისად მიმწოდებელმა შემსყიდველს მიაწოდა შემდეგი სახის საქონელი: **14 ერთეული A4 ფორმატის ფოტოს ბეჭდვა (CPV79811000).**

სსიპ ,,ბირთვული და რადიაციული
უსაფრთოების სააგენტო „
შრომითი ხელშეკრულებით
დასაქმებული პირი
ზურაბი ფიფაიშვილი

შპს ,,ფოტო სამყარო"
დირექტორი
მიხეილ ჭოხონელიძე

1	სასაქონლო ზედნადები #	ელ- 0390317031

2	16/07/2018

თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)

3	12:52:32

დრო (საათი, წუთი)

(დღგ-ს გადამხდელი)

4	შპს ფოტო სამყარო	204435511
	გამყიდველის (გამგზავნის) დასახელება,ან სახელი და გვარი	საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი

5	სსიპ ,,ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო"	204585564
	მყიდველის (მიმღების) დასახელება,ან სახელი და გვარი	საიდენტიფიკაციო / პირადი ნომერი

6	ოპერაციის შინაარსი	ტრანსპორტირების გარეშე

7	მელიქიშვილის 6

ტრანსპორტირების დაწყების ადგილი (მისამართი)

8	X

ტრანსპორტირების დასრულების ადგილი (მისამართი)

9	

ტრანსპორტირების სახე

10	X

სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომერი

მისაბმელი

11	სატრანსპორტო საშუალების მძღოლის პირადი ნომერი	X

12	გამყიდველის(გამგზავნის)/მყიდველის(მიმღების) მიერ გაწეული ტრანსპორტირების ხარჯი

თანხა ლარებში

სასაქონლო ზედნადების ცხრილი

#	საქონლის დასახელება	საქონლის კოდი	საქონლის ზომის ერთეული	საქონლის რაოდენობა	საქონლის ერთეულის ფასი*	საქონლის ფასი *
1	ფოტო 20*30 სმ (ციფრული ბეჭდვა)	12030	ცალი	14.0000	3.0000	42.0000

13	42 - ორმოცდაორი ლარი და ნული თეთრი

მიწოდებული საქონლის მთლიანი თანხა (ციფრებით და სიტყვიერად)

14	თეა მიქაძე

გამყიდველი (გამგზავნი)/საქონლის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

15	

მყიდველი (მიმღები)/საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

16	

ხელმოწერა

17	

ხელმოწერა

18	მიწოდებული საქონლის ჩაბარების	16/07/2018	12:52:32
		თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)	დრო (საათი, წუთი)

19	უნაღდო

შენიშვნა: * დღგ-ს გადამხდელისათვის დღგ-ს ჩათვლით, აქციზის გადამხდელისათვის აქციზურ საქონელზე, დღგ-ს და აქციზის ჩათვლით

ამობეჭდვის თარიღი 17/07/2018, 12:05:07

საგადასახადო ანგარიშფაქტურა

დანართი NoIII-05
დამტკიცებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის
31.12.2010 წ. N996 წლის ბრძანებით

დადასტურებული 17/07/2018 12:05

1	ეა-14 8180769

3	ივლისი	2018

ოპერაციის განხორციელების პერიოდი
(თვე სიტყვიერად, წელი)

4	16	ივლისი	2018

გამოწერის თარიღი
(რიცხვი, თვე სიტყვიერად, წელი)

5 გამყიდველი

5.1	2	0	4	4	3	5	5	1	1		

(საიდენტიფიკაციო ნომერი)

5.2	შპს ფოტო სამყარო

დასახელება (სახელი, გვარი)

6 მყიდველი

6.1	2	0	4	5	8	5	5	6	4		

(საიდენტიფიკაციო ნომერი)

6.2	სსიპ ,,ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო"

დასახელება (სახელი, გვარი)

საქონლის (მომსახურების) დასახელება	ზომის ერთეული	მიწოდებული საქონლის რაოდენობა	საქონლის (მომსახურების) ღირებულება დღგ-ს და აქციზის ჩათვლით	მათ შორის	
				დღგ-ს თანხა	აქციზის თანხა
ფოტო 20*30 სმ (ციფრული ბეჭდვა)	ცალი	14.0000	42.0000	6.4100	0.0000
		სულ	42	6.41	0

7	0390317031	8	16 - ივლისი - 2018 12:52

სასაქონლო ზედნადების No

თარიღი

ხელმძღვანელის, ან სხვა უფლებამოსილი პირის
ხელმოწერა_____ბ.ა.

მყიდველს ჩაბარდა ხელზე
ხელმოწერა_____ბ.ა.